სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 38

2012 წლის 11 ივლისი

ქ. თბილისი

აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის (STEP) - იდეიდან ბაზრისკენ" 2012 წლის ერთობლივი კონკურსის
გამოცხადებისა და კონკურსის პირობებისა და კონკურსში მონაწილეობის შესახებ
პროექტში მონაწილე ფიზიკურ პირთა და საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი განცხადების ფორმის, საპროექტო განაცხადის ფორმის და პროექტის ბიუჯეტის ფორმების დამტკიცების შესახებ

,,აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF - Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის (STEP) - იდეიდან ბაზრისკენ" ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №105/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე", „ე[1]" და ,,თ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2011 წლის 29 ოქტომბრის №07 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2012 წლის 11 ივლისს „აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების

ფონდის (სსგფ) „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის (STEP) - იდეიდან ბაზრისკენ“ 2012 წლის ერთობლივი კონკურსი“. საპროექტო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2012 წლის 15 აგვისტო, 18.00.

2. დამტკიცდეს „აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის (STEP) - იდეიდან ბაზრისკენ“ 2012 წლის ერთობლივი კონკურსის“ პირობები ამ ბრძანების დანართი N1 შესაბამისად.

2. დამტკიცდეს საპროექტო განაცხადის ქართული და ინგლისური ფორმები ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ქართული და ინგლისური ფორმები ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად.

4. დამტკიცდეს „კონკურსში მონაწილეობის შესახებ პროექტის მონაწილე ფიზიკურ პირთა და საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად.

5. დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

6. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური